

# „კოლოსოკი“ დიდ საქმეს აკეთებს

დნეპროპეტროვსკის ოლქის პავლოგრადის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესში“ ნაყოფიერად საქმიანობს ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტული სკოლა „კოლოსოკი“, რომელშიც 200 მოსწავლეა გაერთიანებული. სოფლის ახალგაზრდობას შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტული თამაშების, ტანვარჯიშის, კლასიკური ჭიდაობის სექციები. სკოლამ უკვე მოიპოვა პირველი გამარჯვებები. მაგალითად, შარშან „კოლოსოკის“ ფეხბურთელებმა ოლქის თასი დაისაკუთრეს.

• • •

სურათებზე: „კოლოსოკის“ ფეხბურთელები საწვრთნელ ვარჯიშზე მიდიან; სპორტული თამაშების სექციის მეცადინეობა.

ვ. აკიმოვის ფოტო (ატს-ი).



# ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

მაგადანი. № 2 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მოთხილამურეები — ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ჩემპიონები — წვრთნას შეუდგნენ.

ს. ბელიაევის ფოტო (საკდეს).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 220 (4214)

1970 წ. 10 ნოემბერი. სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




# მოციგურავეთა ახალი სარბიელი

ჩელიაბინსკი. ზამთრის სეზონში ყინულის ბილიკზე პირველნი ქალაქის ციგურაობის სპორტული სკოლის ნორჩი მოსწავლეები გამოვიდნენ. ამ სკოლის აღზრდილები (მათი რიცხვი 500-ზე მეტია) მრავალი წელია არ თმობენ ქვეყნის პირველობას იუნიორთა შორის.

ნორჩმა ჩელიაბინსკელებმა წვრთნა დაიწყეს გორგოლაჭებით სასრიალო მოედანზე, რომელიც სოსნოვი ბორში, ქალაქის ი. გაგარინის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მახლობლად მოეწყო. ასფალტირებულ წრიულ ბილიკზე, რომლის სიგრძეც 400 მეტრია, მთელი წლის მანძილზე შეიძლება წვრთნა: ზაფხულში — გორგოლაჭებით, ზამთარში — ნამდვილი ციგურებით. მთავარი ბილიკი, რომელიც სიგანით 15 მეტრია, მძლავრი ელექტრული დღის სინათლითაა განათებული. ეს საშუალებას იძლევა, რომ შეჯიბრებები და საწვრთნელი მეცადინეობები ღამითაც ჩატარდეს. სპორტსმენებისთვის, მწვრთნელებისთვის და მსაჯებისთვის აგებულია ორსართულიანი პავილიონი, დამხმარე შენობები.

ეს თავისებური სპორტული კომპლექსი სახალხო მშენებლობის მეთოდით აიგო. ნორჩ სპორტსმენებს დიდი დახმარება გაუწიეს საგზაო მშენებლობის, ელექტროქსელებისა და სხვა სამმართველოებმა, სარემონტო-სამშენებლო ტრესტებმა და სხვა საქალაქო ორგანიზაციებმა. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ამ საქმის თაოსანი, ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორი ა. ბელოგლაზოვი. იგი საციგურაო სპორტის დიდი ენთუზიასტია. ბელოგლაზოვი განათლებით იურისტია, მაგრამ ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტიც აქვს დამთავრებული. ჩელიაბინსკში მუშაობის მანძილზე მან ბევრი კარგი მოციგურავე აღზარდა.

მ. პოზდნიაკოვი.

## საქვეყნო მიმოხილვა



# ვადამდე და გადაჭარბებით

თერჯოლის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53-ე წლისთავის აღსანიშნავად იკისრეს ვადამდე შეესრულებინათ რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებები.

პირობა გადაჭარბებითაა განაღდებული: ზეგეგმით მომზადებულია 12 პირველთანრიგოსანი. ამას გარდა, რაიონში მომზადდა სხვა თანრიგების 8431 სპორტსმენი. მშთ

## ფაქტები სტრიქონები

კომპლექსის პირველი და მეორე საფეხურის ნორმატივები 2811 კაცმა ჩააბარა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების ვალდებულება.

ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადება გრძელდება.

ა. ჩარექიშვილი,
თერჯოლის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

# ბრონშტეინი თუ შმიტი?

ჭადრაკში სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშების მეორე ნახევარფინალურ მატჩში, რომელშიც დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) და ვ. სავონი (ხარკოვი) ხვდებოდნენ ერთმანეთს, გამარჯვებულის გამოსავლინებლად აუცილებელი შეიქნა მეხუთე პარტია, რაკი ორთაბრძოლის ოთხივე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა სავონმა ვერ გაუძლო დაძაბულ ბრძოლას. მან ჯერ უარესი პოზიცია მიიღო, მერე კი დაცვას ალღო ვერ აუღო, შეცდა, ლაზიერი დაკარგა და 24-ე სვლაზე ფარ-ხმალი დაყარა. ამრიგად, ფინალის მეორე საგზური მოსკოველმა დიდოსტატმა დაისაკუთრა.

8 ნოემბერს მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, დაიწყო თასისთვის ბრძოლის დასკვნითი ეტაპი — ფინალური შეხვედრები. თასს ერთმანეთს ეცილებიან ბრონშტეინი და ახალგაზრდა რიგელი ოსტატი ა. შმიტი, ხოლო III ადგილისთვის იბრძვიან სავონი და ახალგაზრდა ოდესელი ოსტატი ლ. ალბურტი. მეტოქეებმა ოთხ-ოთხი პარტია უნდა ითამაშონ. ამ შეხვედრებმა გამარჯვებული რომ არ გამოავლინონ, მაშინ ბრძოლა გაგრძელდება ისე, როგორც „ლელოს“ 7 ნოემბრის ნომერში ვწერდით.

ბრონშტეინ—შმიტის მატჩის პირველი პარტია არ იყო მწვავე. მეტოქეები 30-ე სვლაზე დაზავდნენ.

მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა სავონ — ალბურტის შეხვედრაში. ხარკოველმა მოჭადრაკემ შეძლო მატერიალური უპირატესობის მოპოვება. 48-ე სვლაზე პარტია გადაიდო. სავონის ზედმეტმა პაიკმა და უკეთესმა პოზიციამ ოდესელი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ბრძოლის განახლება არ ღირდა. ამრიგად, დაწინაურდა სავონი — 1:0.

# 12 სახეობაში

თბილისის, რუსთავისა და გორის სპორტულ ბაზებზე 11-24 ნოემბერს გაიმართება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს IV სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 12 სახეობაა.

გთავაზობთ სპარტაკიადის კალენდარს.

ქართული ჭიდაობა. 11-12. თბილისი. „განთიადის“ დარბაზი.

მძლეოსნობა. 11-13. რუსთავი. სპორტკლუბ „მეტალურგის“ სტადიონი.

ტყვიის სროლა. 11-16. თბილისი. სპორტკლუბ „გამარჯვების“ სასროლეთი.

ჭალათბურთი. 11-17. თბილისი. ქარხანა „პლასტმასის“ დარბაზი.

ხელბურთი. 11-17. რუსთავი. „მეტალურგის“ დარბაზი.

ველოსპორტი (გზატკეცილი). 16-17. თბილისის ზღვის მიდამოები.

ძალოსნობა. 18-19. რუსთავი. „მეტალურგის“ დარბაზი.

თავისუფალი ჭიდაობა. 18-20. გორი. საჭიდაო დარბაზი.

ჭადრაკი. 18-24. თბილისი. „განთიადის“ კლუბი.

ფრენბურთი. 18-24. თბილისი. ქარხანა „პლასტმასის“ დარბაზი.

ფარიკაობა. 20-23. რუსთავი. „მეტალურგის“ დარბაზი.

მაგიდის ჩოგბურთი. 21. თბილისი. „განთიადის“ დარბაზი.

სპარტაკიადა 15 ნოემბერს 17 საათზე საზეიმოდ გაიხსნება ქარხანა „პლასტმასის“ დარბაზში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტვიში — ნიჩბოსნობის ცენტრი











სოფელი ტვიში ამ დღეებში აფუსფუსებულ სკას ჰგავდა. მდინარე რიონზე ჯერ სსრ კავშირის პირადი პირველობა ჩატარდა სანიჩბოსნო სლალომში, შემდეგ კი აქ საბჭოთა კავშირის 16 ქალაქის საწყლოსნო ტურისტებმა მოიყარეს თავი.

საწყლოსნო ტურიზმი ახალგაზრდა, წარმტაცი და ძნელი სახეობაა. სპორტსმენები ლაშქრობების გარდა ამ სახეობაში ხშირად შეჯიბრებებსაც აწყობენ და ტვიშშიც სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდნენ.

შეჯიბრების წესები აქაც იგივეა, რაც სანიჩბოსნო სლალომისტთა საკავშირო პირველობაში, ოღონდ მონაწილეებს 29 კარის ნაცვლად 25 კარი უნდა გაევლოთ, ამასთან, გადაბრუნებული ნავის ეკიპაჟს დისტანციის გაგრძელების უფლება არ ჰქონდა.

პირად პირველობაში ვაჟთა ეკიპაჟებს შორის გაიმარჯვეს რიგელებმა ხ. კემერსმა და მ. ლაიდინშმა. ეს სწორედ ის ლაიდინშია, რომელმაც სანიჩბოსნო სლალომისტთა საკავშირო ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში.

შერეულ ეკიპაჟებში გამარჯვებაც კემერსისა და ლაიდინშის თანამემამულეებს — მ. ზუშას და ზ. პავრაზს დარჩათ. რიგელებმა ყველას აჯობეს საერთო გუნდურ ჩათვლაშიც.

ვაჟთა ეკიპაჟებს შორის გუნდური გამარჯვება ლენინგრადელებს ხვდათ წილად.

**ა. გურასაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ტვიში,
ცაგერის რაიონი.

• • •

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ტურისტთა კარვების ქალაქის ერთი ნაწილი; სტარტი აღებულია; რიონის სწრაფმა დინებამ ბაიდარის ეკიპაჟი უნავოდ დატოვა, მაგრამ „წყალწაღებულთ" სწრაფად დაეხმარა მაშველი რაზმი; გულშემატკივართა „ტრიბუნა".

ავტორის ფოტო.

# ლენტეხელებს დახმარება სჭირდებათ

**ამას წინათ ჩვენი კორესპონდენტი მ. ხერგიანი ეწვია ლენტეხის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს მ. მუკბანიანს და სთხოვა ეამბნა რაიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე. ვბეჭდავთ ამ ინტერვიუს.**

● **ძირითადად სპორტის რა სახეობებია განვითარებული ლენტეხის რაიონში?**

— ჩვენი რაიონი ზღვის დონიდან საშუალოდ 1000-1200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. იგი ემიჯნება დიდი კავკასიონის განშტოებას — ბეზენგის კედელსა და სვანეთის ქედის სამხრეთ ფერდობებს. ბეზენგიცა და სვანეთის ქედიც მარადთოვლიანი მთის მასივებია. კავკასიონის მარადთოვლიანებთან ეს სიახლოვე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სვანეთის ყოფა-ცხოვრებაზე, და, რა თქმა უნდა, განაპირობებს ახალგაზრდობის დამოკიდებულებას სპორტის ამა თუ იმ სახეობის მიმართაც. მთაგორიანობა და ძნელმისადგომობა გარკვეულ სიძნელეებს გვიქმნის მუშაობაში... რა თქმა უნდა, ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ რაიმე შეღავათებს ვითხოვთ. ჩვენი აზრით, ზოგიერთი რამ მოთხოვნებში, რასაც ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტი გვიყენებს, გადასახედი და ასაწონ-დასაწონია. მოსახლეობაში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს სათხილამურო სპორტი, თავისუფალი და ქართული ჭიდაობა, მძლეოსნობა და მთამსვლელობა...

● **ბოლო წლების მანძილზე რა წარმატებები გაქვთ მოპოვებული სპორტის ჩამოთვლილ სახეობებში, ხართ თუ არა მიღწეულით კმაყოფილი?**

— პირველ ყოვლისა მინდა აღვნიშნო ჩვენი მოჭიდავეების წარმატება. მართლაც ქების ღირსნი არიან სპორტის ოსტატები ქართულ ჭიდაობაში დ. ხაბულიანი, ა. გელოვანი, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაშიც სპორტის ოსტატობის კანდიდატია, გ. ონიანი და ო. ზურაბიანი, რომლებმაც „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალურ პირველობაში, წულუკიძეში (შეჯიბრებაში 14 რაიონი მონაწილეობდა) I ადგილები დაიკავეს.

მოჭიდავეებს დიდად არც ფრენბურთელები ჩამორჩნენ. ცამეტ გუნდში III ადგილზე გასვლა, ისიც მასპინძლის—ტყიბულისა და ცაგერის ძლიერი კოლექტივების შემდეგ, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს...

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს მძლეოსნობაში, სადაც VII ადგილზე ვართ. ამ სახეობაში საქმიანობის გაუმჯობესებისთვის კონკრეტული ღონისძიებები დავსახეთ.

რაც შეეხება სათხილამურო სპორტს, აქ საქართველოს გუნდები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ჩვენი რაიონი მეორე ჯგუფშია, რაც უსწოროდ მიმაჩნია. მოთხილამურეებს ყველაზე მეტი ხელშეწყობა ესაჭიროებათ, ზემდგომი ორგანოების მხრივ კი ამას ვერ ვხედავთ. სპორტული მაღაზიის დახლებზე ერთ ვარგის სარბენ თხილამურს ვერ შეხვდებით, ხოლო სამთო სახეობების თხილამურები და აღჭურვილობა რა ხანია თვალითაც არ გვინახავს. ჩვენი მეტოქეების უპირატესობა ხომ ერთი რამით მაინც არის განპირობებული — ისინი დიდ ცენტრებთან ახლოს არიან, ხელი მიუწვდებათ პირველხარისხოვან საჭურველზე, თუმცა პოტენციური შესაძლებლობანი, ბუნებრივი მონაცემები, შესაძლოა, ჩვენს სპორტსმენებს მეტი და უკეთესი ჰქონდეთ. შეგვიძლია პირობა დავდოთ, რომ, თუ სპორტის აღნიშნულ სახეობას ჩვენს რაიონშიც ისეთივე ყურადღება მიექცევა, როგორიც სხვა—პირველი ჯგუფის რაიონებში, უახლოეს მომავალში რესპუბლიკურ თუ საკავშირო სარბიელზე ლენტეხის წარგზავნილებსაც იხილავთ.

**ინტერვიუ**

ქვემო სვანეთში გვყავს შესანიშნავი მთამსვლელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ჯ. გუგავა, გ. გულბანი, ოსტატები გ. გუგავა, ჯ. მუჩელიანი და სხვები, მაგრამ მათი ცვლა (ახალგაზრდა გ. გუგავას გარდა) ჯერ არ ჩანს. საქმე ისაა, რომ ლენტეხის რაიონში მთამსვლელობის სექციები არ არსებობს. მართალია, იანვრიდან ორი ჯგუფი შეიქმნა, მაგრამ საზოგადოებრივ საწყისებზე იაეთ შრომატევად და საპასუხისმგებლო საქმეს, როგორიც მომავალ მთამსვლელთა აღზრდაა, არავინ კისრულობს.

ლენტეხელებს დიდი გასაჭირი გვადგას ბაზების მხრივ. სპორტსკოლა, სადაც ზემოაღნიშნული სექციები მეცადინეობენ, სპორტსკოლა-ინტერნატის ბაზაზე მუშაობს, სტადიონის რემონტი ორი წელია ჭიანურდება.

● **როგორ სრულდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები?**

— ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები მუდამ სრულდება. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ჩიხარეშის, ჟახუნდერის, სასაშის, თეკალის, ლენტეხის სკოლების ფიზკულტურული ორგანიზაციები. ამ საქმეში მუდამ დიდი წვლილი შეაქვს „კოლმეურნის" რაისაბჭოს (თავმჯდომარე ნ. ქურასპედიანი). სამწუხაროდ კარგს ვერაფერს ვიტყვით ხელედის, რცხმელურისა და ზოგიერთი სხვა სკოლის ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე.

● **რას გვეტყვით შეჯიბრებათა შესახებ?**

— შარშან ლენინის დაბადების 100 წლისთავს მივუძღვენით სათხილამურო ლაშქრობა მარშრუტით: ლენტეხი — ონი—მამისონის უღელტეხილი — ორჯონიკიძე — ნალჩიკი — ყაზბეგი — ჯვრის უღელტეხილი — ფასანაური — თბილისი. ეს უჩვეულო გადარბენა, რომელსაც სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. გულბანი ხელმძღვანელობდა, ორ კვირას გაგრძელდა. ამას წინათ ამხანაგური შეხვედრები ჩავატარეთ ქუთაისის „სპარტაკის" ფრენბურთელებთან და კალათბურთელებთან. კალათბურთში სტუმრებმა იმარჯვეს, ფრენბურთში — მასპინძლებმა (აღარაფერს ვამბობთ რაიონის სპორტულ ღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებულ ტურნირებზე).

ერთი სიტყვით, რაიონის ახალგაზრდობას უყვარს ფიზკულტურა და სპორტი, მაგრამ მას მეტი დახმარება უნდა, რომ თავისი შესაძლებლობანი სრულად გამოავლინოს.

✦ **აბაშა**

მექანიკურ ქარხანაში სპორტსმენთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი მოედნები, ინვენტარი. ნაყოფიერად საქმიანობენ მძლეოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრაკის სექციები, სისტემატურად იმართება შიდასაქარხნო შეჯიბრებები. ამას წინათ საწარმოს ფრენბურთელებმა რაიონულ ჩემპიონატში I ადგილი დაიკავეს.

**რ. ჟანტურია.**

# შინმოუსვლელთა თასზე

ეს შეჯიბრება კასპის რაიონის მოჭიდავეებმა ტრადიციად აქციეს. რაიონის სოფლებს შორის ყოველ წლიწადს ტარდება ტურნირი ქართულ ჭიდაობაში შინმოუსვლელთა თასზე. ჯილდო გარდამავალია.

ასპარეზობას თასის შარშანდელი მფლობელები — დოესელი მოჭიდავეები მასპინძლობდნენ. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დოესელი და კავთისხეველი მოჭიდავეები. დაძაბული ბრძოლა კავთისხეველთა გამარჯვებით დამთავრდა — 4,5:3,5. შინმოუსვლელთა თასიც სწორედ მათ გადაეცათ.

**ლ. ელისაბედაშვილი.**
კასპი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის პირველობა

# „კარპატი" და „ყაირათი" — უმაღლეს ჯგუფში

დამთავრდა „ა" კლასის I ჯგუფის გუნდების თამაშები. ბოლო ტურის მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:1, „სტროიტელი" (აშხაბადი) — ასკ (კიევი) 0:0, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 2:0, „მოლდოვა" (კიშინიოვი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:0, „პამირი" (დუშანბე) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 2:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)—„დინამო" (ლენინგრადი) 2:1, „ალგა" (ფრუნზე) — „დაუგავა" (რიგა) 1:0.

დარჩენილი იყო კიდევ ორი შეხვედრა, რომელთა შემდეგაც გათამაშების მონაწილენი საბოლოოდ განაწილდნენ გათამაშების ცხრილში.

8 ნოემბერს ლვოვის „კარპატიმ" ყარაგანდაში დაამარცხა ადგილობრივი „შახტიორი" (1:0), დააგროვა 63 ქულა და საბოლოოდ გაიხადა ადგილი „ა" კლასის უმაღლეს ჯგუფში.

ამავე დღეს ასტრახანის „ვოლგარმა" ანგარიშით 3:1 დაამარცხა აშხაბადის „სტროიტელი".

ამრიგად, გაისად უმაღლეს ლიგაში ითამაშებს დებიუტანტი — სსრ კავშირის 1969 წლის თასის მფლობელი — ლვოვის „კარპატი". მასთან ერთად ეს საპატიო უფლება მოიპოვა ალმა-ათის „ყაირათმაც", რომელიც ერთი წლის შესვენების შემდეგ კვლავ უბრუნდება უძლიერესთა ჯგუფს. ალმა-ათის გუნდმა დააგროვა იმდენივე ქულა, რამდენიც დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" (61), მაგრამ მისი ბურთების სხვაობა (+42) უკეთესია, ვიდრე „დნეპრისა" (+33).

I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

საბოლოო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კარპატი" (ლვოვი) | 42 | 26 | 11 | 5 | 70—22 | 63 |
| „ყაირათი" (ალმა-ათა) | 42 | 25 | 11 | 6 | 71—29 | 61 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 42 | 26 | 9 | 7 | 58—25 | 61 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 42 | 20 | 10 | 12 | 53—39 | 50 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 42 | 15 | 19 | 8 | 43—26 | 49 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 42 | 19 | 9 | 14 | 62—49 | 47 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 42 | 17 | 13 | 12 | 43—32 | 47 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 42 | 18 | 10 | 14 | 36—42 | 46 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 42 | 15 | 15 | 12 | 49—43 | 45 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 42 | 15 | 11 | 16 | 46—40 | 41 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 42 | 13 | 15 | 14 | 40—34 | 41 |
| „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) | 42 | 13 | 14 | 15 | 36—51 | 40 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 42 | 14 | 11 | 17 | 38—45 | 39 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 42 | 13 | 12 | 17 | 37—49 | 38 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 42 | 14 | 9 | 19 | 36—43 | 37 |
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 42 | 11 | 15 | 16 | 27—45 | 37 |
| „დაუგავა" (რიგა) | 42 | 11 | 11 | 20 | 36—50 | 33 |
| „პამირი" (დუშანბე) | 42 | 12 | 9 | 21 | 41—62 | 33 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 42 | 10 | 12 | 20 | 34—45 | 32 |
| ასკ (კიევი) | 42 | 11 | 10 | 21 | 39—50 | 32 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 42 | 8 | 16 | 18 | 22—41 | 32 |
| „სტროიტელი" (აშხაბადი) | 42 | 6 | 8 | 28 | 22—77 | 20 |

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

მოგვყავს ქუთაისის „ტორპედოს" ბოლო მატჩის სტატისტიკური მონაცემები.

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 5 ნოემბერი.

„ნევთჩი" (ბაქო) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:1 (3:0).

„ნევთჩი": შეხოვი, უულიევი, ბრუხტი (რაგიმოვი), რახმანოვი, მირზოიანი, გაჯიევი (აბდულაევი), სტეკოლნიკოვი, სმოლნიკოვი, ბანიშევსკი, მარქაროვი, შევჩენკო.

„ტორპედო": ტეტელაშვილი, ჩიტაური, ებრალიძე, ჭოხონელიძე, ანფიმიადი, აზნიანიძე, ერქომაიშვილი, ნაჭყებია, ვეკუა, ქიქავა, ალადაშვილი.

მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:0 „ნევთჩის" სასარგებლოდ.

## გამარჯვება ლიდერთან

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 8 ნოემბერი.

„დინამო" (ბათუმი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 3:1 (2:0).

„დინამო": პავლოვი (იორამაშვილი), ჩხაიძე (ცინარიძე), წივწივაძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, ქორიძე, ეხებუა, ვახ. კვიტაიშვილი, ჩხარტიშვილი, რამიშვილი.

„ავტომობილისტი": დიევი, მაზიევი, ტარანენკო, ემელიანენკო, გალიმოვი, ივანოვი, აფშევი, ფილატოვი, დინამეევი, ჩერნენკო, ყოჩიევი (ნადიევი).

მსაჯი ვ. კურგანოვი (მოსკოვი).

ნალჩიკის „ავტომობილისტი" „ა" კლასის II ჯგუფის II ზონის ერთ-ერთი ლიდერი და საუკეთესო გუნდია და, როგორც წესი, წარმატებას აღწევს ბათუმის „დინამოსთან" შეხვედრებში. მაგალითად, წლევანდელი გათამაშების პირველ წრეში ნალჩიკელებმა „დინამოს" მოუგეს ანგარიშით 1:0. ბათუმელები რევანშის აღების მტკიცე რწმენით გამოვიდნენ მინდორზე და ძლიერადაც ჩაატარეს ეს ძნელი შეხვედრა. მათი უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა პირველივე წუთებიდან. მასპინძლებმა ჯერ კიდევ დასაწყისში განახორციელეს რამდენიმე სწრაფი შეტევა. მე-5 წუთზე რამიშვილი პირისპირ გავიდა „ავტომობილისტის" კართან, ძლიერადაც დაარტყა და ტარანენკო იძულებული იყო ხელით შეეჩერებინა ბურთი. პენალტი ზუსტად დაარტყა ქორიძემ — 1:0.

სტუმრებმა ცოტა ხნით შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, 23-ე წუთზე კი აფშევის მიერ ძალიან ძლიერად დარტყმული საჯარიმო ბურთი თავგანწირული ნახტომით მოიგერია პავლოვმა.

ტაიმის დასასრულს შეტევაზე ისევ დინამოელები იყვნენ და კვიტაიშვილმა მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

ასევე საინტერესოდ მიმდინარეობდა ბრძოლა შესვენების შემდეგაც. ინიციატივას კვლავ ბათუმელები ფლობდნენ. გუნდის ერთ-ერთი იერიში მესამე გოლით დაამთავრა ქორიძემ.

მატჩის ბოლო წუთზე სტუმრებმა შეძლეს თავი დაეღწიათ „მშრალი" ანგარიშით წაგებისთვის. ეს ბურთი გაიტანა ივანოვმა.

ო. მურვანიძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ნოემბრისთვის

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შინიკი" (იაროსლავლი) | 42 | 24 | 14 | 4 | 66—31 | 62 |
| „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) | 42 | 22 | 15 | 5 | 58—17 | 59 |
| „ვოლგა" (კალინინი) | 42 | 22 | 11 | 9 | 57—31 | 55 |
| „მეტალურგი" (ტულა) | 42 | 21 | 11 | 10 | 80—38 | 53 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 42 | 17 | 16 | 9 | 52—36 | 50 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 42 | 15 | 16 | 11 | 37—38 | 46 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 42 | 17 | 10 | 15 | 51—48 | 44 |
| „ლოკომოტივი" (კალუგა) | 42 | 14 | 16 | 12 | 47—56 | 44 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 42 | 16 | 11 | 15 | 56—43 | 43 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 40 | 15 | 12 | 13 | 36—32 | 42 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 42 | 13 | 15 | 14 | 36—43 | 41 |
| „დინამო" (ბათუმი) | 40 | 13 | 14 | 13 | 34—40 | 40 |
| „სატურნი" (რიბინსკი) | 42 | 11 | 17 | 14 | 44—56 | 39 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 40 | 14 | 10 | 16 | 42—42 | 38 |
| „ვოლგა" (გორკი) | 39 | 12 | 13 | 14 | 46—44 | 37 |
| „დინამო" (მახაჩკალა) | 42 | 13 | 11 | 18 | 45—55 | 37 |
| „დილა" (გორი) | 40 | 12 | 11 | 17 | 42—53 | 35 |
| „სტალი" (ვოლგოგრადი) | 42 | 8 | 18 | 16 | 33—40 | 34 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 42 | 12 | 8 | 22 | 37—46 | 32 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 42 | 7 | 11 | 24 | 34—79 | 25 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 42 | 4 | 8 | 30 | 19—82 | 16 |

## დაწინაურდა საქართველოს გუნდი

სიმფეროპოლი, 9 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური გათამაშება „იმედის თასზე".

II ტურში საქართველოს გუნდის მეტოქე იყო რსფსრ-ს ნაკრები. საქართველოს ფეხბურთელებმა ეს თამაშიც კარგად ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

უკრაინელებმა ფრედ ითამაშეს მოლდაველთა ნაკრებთან (1:1), ხოლო ბელორუსიელებმა მოუგეს სომხეთის გუნდს — 1:0.

III ტურისთვის გათამაშებას 4 ქულით ლიდერობენ საქართველოს ფეხბურთელები. 3 ქულა აქვთ უკრაინელებს, 2-2 — რსფსრ-სა და ბელორუსიის გუნდებს, 1 — მოლდაველთა ნაკრებს და 0 — სომხეთის გუნდს.

# დებიუტანტები და ვეტერანები

### 20 ნოემბერს იწყება სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა XXXVIII ჩემპიონატი

კალათბურთელ ვაჟთა XXXVIII საკავშირო ჩემპიონატმა ორ გუნდს — ალმა-ათის „ლოკომოტივსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშს" დაბალი ლიგისკენ დაულოცა გზა. 1971 წელს ისინი II ჯგუფში იასპარეზებენ და, რა თქმა უნდა, შეეცდებიან ისევ დაიმსახურონ ადგილი უმაღლეს ლიგაში. ამ უფლებას, როგორც იმედის რაღაც ნაპერწკალს, საკავშირო პირველობას დებულება ყოველ გუნდს უტოვებს.

როგორც ალმა-ათის, ისე სვერდლოვსკის კალათბურთელებისთვის გზა პირველი ჯგუფიდან მეორისკენ და უკან უცხო არ არის. „ურალმაშის" ბედი არაერთხელ იდო სასწორზე, მაგრამ ეს გუნდი ხოლმე ბულმოდგინებითა და სიჯიუტით უბრუნდებოდა უძლიერესთა ოჯახს და ამით მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ დაბალ ლიგაში უძლიერესი კოლექტივი იყო. იგივე უნდა ითქვას „ლოკომოტივზეც".

შარშან „ა" კლასი რიგის ვეფ-ის გამოცდილმა კოლექტივმა დატოვა. ეს იყო ლატვიის კალათბურთის „შავი დღე", რომელსაც სპეციალისტები დროებით მოვლენად თვლიდნენ. ისინი მართალი აღმოჩნდნენ და ვეფ-მა უკან დაბრუნების პირველივე შემთხვევა გამოიყენა. ასე რომ, რიგის გუნდი საკავშირო ჩემპიონატის დებიუტანტად პირობით შეიძლება მივიჩნიოთ.

რაც შეეხება უმაღლესი ლიგის მეორე ახალ ბინადარს — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის (რტი) გუნდს, იგი მართლაც დებიუტანტია. მაგრამ მისი მოსვლა უძლიერესთა ჯგუფში არამც და არამც არ შეიძლება მოულოდნელობას მივაწეროთ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ამ კოლექტივის ერთი წევრი, გვარად ედეშკო, სსრ კავშირის ნაკრების უახლესი მოწვევის ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშეა.

1971 წლის ჩემპიონატის დაწყებამდე ათი დღეა დარჩენილი. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორი მომზადებით, როგორი ტექნიკური ან ტაქტიკური არსენალით შეხვდებიან უძლიერესები ახალ სეზონს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ჩვენი ქვეყნის ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონებს — მოსკოვის არმიელებს გაცილებით მეტი კონკურენტი ეყოლებათ, ვიდრე აქამდე ჰყავდათ.

პირველი და მთავარი მეტოქე, დარწმუნებული ვართ, ლენინგრადის „სპარტაკი" იქნება, რომელიც სსრ კავშირის ნაკრების ხაბაზო გუნდად იქცა. ამ გუნდის წევრები ლ. ივანოვი, ა. ბოლოშევი, ვ. ფედოროვი და ა. ბელოვი, აგრეთვე, ნევისპირელთა და ნაკრების მწვრთნელი ვ. კონდრაშინი ყოველნაირად შეეცდებიან, რომ ბოლოს და ბოლოს დაამხონ არმიელთა „დიქტატურა".

უთუოდ სერიოზული გეგმები და, რაც მთავარია, უკეთესი ადგილის დაკავების სურვილი ექნებათ კიევის „სტროიტელს", კაუნასის „ჟალგირისს", ტარტუს „კალევს" და მოსკოვის „დინამოს". გასული სეზონის შედეგებით უკმაყოფილოა თბილისის „დინამოც". იგი, ცხადია, ყოველმხრივ შეეცდება თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას (დინამოელებს ამჟამად ახალი მწვრთნელი ჰყავთ — სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ქორქია).

მეტად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგას თბილისის „ბურევესტნიკიც", რომელიც წინა ჩემპიონატში X ადგილზე იყო. სტუდენტებს წლეულსაც გაუჭირდებათ, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამჯერადაც დააღწევენ თავს სახიფათო ზონას და არ დაკარგავენ ადგილს უმაღლეს ლიგაში.

1971 წელი კალათბურთელებისთვის განსაკუთრებით მძიმე გამოცდების წელიწადი იქნება. საკავშირო ჩემპიონატს შეცვლის მეორე დიდი შეჯიბრება — სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა. ასე რომ, წარმატებას ბევრად განაპირობებს ძალების სწორი განაწილების უნარი. სწორედ ამიტომ, საკავშირო ჩემპიონატის მატჩები შარშანდელთან შედარებით ერთი მესამედით შემცირდება: ახლა გუნდები ჩაატარებენ ორ წრეს (შეხვედრები შინ და სტუმრად).

ნ. ბუგუშვილი.

• • •

კალათბურთის მოყვარულთ ვთავაზობთ XXXVIII საკავშირო ჩემპიონატის კალენდრის ერთ ნაწილს — ნოემბრის მატჩებს (შეხვედრები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე).

20 ნოემბერი. „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა.

22 ნოემბერი „კალევი" (ტარტუ) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), „სტროიტელი" (კიევი) — ასკ (კიევი), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „დინამო" (თბილისი), ასკ (რიგა) — ვეფ (რიგა).

23 ნოემბერი. ცსკა — „ბურევესტნიკი" (თბილისი).

25 ნოემბერი. ასკ (რიგა) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), რტი (მინსკი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი), ასკ (კიევი) — „კალევი" (ტარტუ).

26 ნოემბერი. „სტროიტელი" (კიევი) — ცსკა, ვეფ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (თბილისი).

28 ნოემბერი. რტი (მინსკი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი), „სტროიტელი" (კიევი) — „კალევი" (ტარტუ), „დინამო" (მოსკოვი) — „ჟალგირისი" (კაუნასი), ვეფ (რიგა) — „დინამო" (თბილისი).

29 ნოემბერი. ასკ (კიევი) — ცსკა, ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (თბილისი).



ფრინველებით ნადირობა თავდაპირველად ცენტრალურ აზიაში დაუწყიათ, შემდეგ კი იგი თანდათანობით სხვაგანაც გავრცელებულა. ამ გატაცებას განსაკუთრებით XVI-XVII საუკუნეებში მისცემია დიდი ასპარეზი და მას უმეტესად გამოყენების თვალსაზრისით უყურებდნენ. ახლა ფრინველებით ნადირობას ძირითადად სპორტული ხასიათი აქვს. ფრინველის გაწვრთნას დიდი დრო და მოთმინება სჭირდება. ეს უნარი თაობიდან თაობას გადაეცემა.

თბილისში, „ლოკომოტივის" სტადიონზე, ამას წინათ მოეწყო შეჯიბრება მიმინოებითა და შევარდნებით ნადირობაში. მონადირე ფრინველს უნდა შეეძლოს შეასრულოს პატრონის მითითება და ამასთან ძალიან მოქნილიც იყოს. I ადგილი დაიკავა ჩოხატაურის გუნდმა, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ამ გუნდის წევრმა მ. გიორგაძემ გაიმარჯვა პირად პირველობაში.

• • •

სურათზე: მ. გიორგაძე თავისი მონადირე ფრინველით.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმი).

# ოთხი დღე საქართველოში

ხშირად გამიგონია, რომ საქართველოში ისევე უყვართ სტუმრები, როგორც ჩვენში, უნგრეთში. უნგრელი სპორტსმენები, რომლებიც საქართველოში ყოფილან, ამბობენ ხოლმე: ჩვენს ქვეყნებს მხოლოდ მანძილი აშორებს ერთმანეთისგან, თორემ გული ერთნაირი გვაქვსო. ქართველებსაც უნგრელებივით უყვართ სიმღერა, ცეკვა, კარგი სუფრა და ლამაზი ქეიფი, მათ ჩვენსავით უყვართ სიცოცხლეო. ახლა მე თვითონ დავრწმუნდი ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

ამას გარდა, მე დავრწმუნდი, რომ საქართველოში ძალიან უყვართ სპორტი, ზრუნავენ, რომ საუკეთესო სპორტსმენებს ხელი შეუწყონ, რომ მათ ჰქონდეთ კარგი სპორტის სასახლე, სტადიონები, ჩოგბურთის კორტები, აუზები... სამწუხაროდ, უნგრეთში არა გვაქვს ისეთი ლამაზი სპორტის სასახლე, თბილისში რომ ვნახე.

უნგრეთი არც ისე დიდი და არც ისე მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ სპორტი ჩვენში კარგადაა განვითარებული. მეხიკოში ოქროს 10 მედალი მოვიპოვეთ. წლეულს ბევრი უნგრელი სპორტსმენი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ვფიქრობ, გაგონილი გექნებათ ისეთ სპორტსმენთა სახელები, როგორიც არიან მსოფლიო ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში ა. ბალცო, მსოფლიო რეკორდსმენი ფარიკაობაში ტ. პეჟა, მსოფლიო ჩემპიონები კანოებით ნიჩბოსნობაში ა. ვიხმანი და ტ. ტატაი. ალბათ ბევრი ქართველი მოჭიდავე იცნობდა მსოფლიო ჩემპიონს კლასიკურ ჭიდაობაში ი. კოზმას, რომელიც საავტომობილო კატასტროფის დროს დაიღუპა. იგი კარგი სპორტსმენი და კეთილი გულის ადამიანი იყო.

უნგრეთში ფეხბურთი სპორტის ყველაზე საყვარელი და პოპულარული სახეობაა. ბავშვებს ძალიან უყვართ ეს თამაში და ამიტომ ფეხბურთელებიც მრავლად გვეზრდებიან. დღესდღეობით უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდი სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას, მაგრამ ჩვენ ძალიან ბევრი კარგი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს. ეს იმედს გვაძლევს, რომ ერთ-ორ წელიწადში კვლავ ავანგარდში ვიქნებით. მე ვიცი, რომ საქართველოშიც ძალიან უყვართ ფეხბურთი. მაგრამ ამ სახეობაში უნგრელები და ქართველები ისე ხშირად ვერ ხვდებიან ერთმანეთს, როგორც კალათბურთში და ხელბურთში, სადაც შეხვედრების უმეტესობას ქართველები იგებენ.

დიდი სიამოვნება მომანიჭა ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელთან ალექსანდრე მეტრეველთან შეხვედრამ. ამ სიმპათიურმა ახალგაზრდამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ჩოგბურთი საქართველოში, ისევე როგორც უნგრეთში, სამწუხაროდ, სპორტის მასობრივ სახეობად არ ითვლება. მაგრამ თბილისში, „დინამოს" კორტებზე მე ვნახე, როგორ თამაშობდნენ პატარა ბიჭები და მჯერა, რომ საქართველოს მალე ეყოლება მეტრეველისთანა ჩოგბურთელები.

ოთხი დღე საქართველოში სტუმრობისთვის ბევრი არ არის, მაგრამ მე იმდენი რამ ვნახე, იმდენი ახალი შთაბეჭდილება მივიღე, რომ დიდხანს მეყოფა მოსაგონებლად. ვიყავი გორში, გავიცანი ამ კოხტა ქალაქის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მესვეური გ. მეყანწიშვილი, ვნახე, რა შესანიშნავი სტადიონი აქვთ გორელებს, ვნახე ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობაც.

მაგრამ ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობამ. ესაა პატარა ქალაქი შესანიშნავი შენობებით, ხეივნებითა და ქუჩებით, კლუბითა და სხვა ნაგებობებით. ძალიან საინტერესოა, რომ საბჭოთა მეურნეობას აქვს უზარმაზარი სპორტული კომპლექსი სტადიონით, აუზით, საუცხოო დარბაზით.

დიდ მადლობას გიძღვნით, ჩემო ქართველო კოლეგებო, იმ დაუვიწყარი ოთხი დღისთვის, თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში რომ გავატარე. სულითა და გულით გისურვებთ დიდ წარმატებებს სპორტში, პირად ცხოვრებაში.

**ბელა საბო,**
უნგრეთის გაზეთ „ნეპშპორტის" მთავარი რედაქტორი.



სურათზე: ბ. საბო (მარჯვნივ) „ლელოს" რედაქციაში ესაუბრება ევროპისა და სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონს ჩოგბურთში ა. მეტრეველს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

## 19 45

◆ მიშკოლცი, 9 ნოემბერი. უნგრეთის ამ ქალაქში დაიწყო ევროპის I ჩემპიონატი კრივში იუნიორთა შორის. სტარტზე გამარჯვება მოიპოვა ოთხმა საბჭოთა სპორტსმენმა: ერევნელმა დ. ტოროსიანმა (უმჩატესი წონა) დაამარცხა იტალიელი მ. ოლივა, მოსკოველმა ვ. ლემეშევმა (პირველი საშუალო) აჯობა ინგლისელ ა. მინტერს (მეორე რაუნდში აშკარა უპირატესობის გამო), სამარყანდელმა ნ. პანფილოვმა (მეორე საშუალო) მოუგო უნგრელ ბ. კოზმას (მეტოქემ უარი თქვა ბრძოლაზე), ვოროშილოვგრადელმა მძიმეწონოსანმა ვ. ვოლკოვმა გაიმარჯვა გფრ-ის წარმომადგენელ დ. მიულერთან. დანარჩენი შვიდი საბჭოთა მოკრივე პირველ დღეს მაყურებელთა შორის იყო. შეჯიბრებაში, რომელიც ქალაქის ცენტრში საგანგებოდ ჩემპიონატისთვის აგებულ სპორტის სასახლეში ტარდება, 21 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობენ. სრული გუნდები (11-11 სპორტსმენი) გამოიყვანეს სსრ კავშირმა, ბულგარეთმა, უნგრეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთმა და რუმინეთმა. ყველა ქვეყნის სპორტსმენები მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ უნივერსიტეტის ქალაქის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში. საბჭოთა მოკრივეები ერთ სართულზე დაბინავდნენ იტალიის, საფრანგეთისა და გფრ-ის წარმომადგენლებთან ერთად. „ჩვენ ზეიმით აღვნიშნეთ დიდი ოქტომბრის 53-ე წლისთავი, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ა. კისელიოვმა. — დღესასწაული მოგვილოცეს ბევრი ნაკრები გუნდის ხელმძღვანელებმა, მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა. დეპეშები მივიღეთ მოსკოვიდან, სევასტოპოლიდან, სამარყანდიდან". ინტერესი მოკრივეთა პრემიერისადმი, რომელიც რამდენადმე 1972 წლის ოლიმპიადის პრელუდიად შეიძლება ჩაითვალოს, ძალიან დიდია. ჩემპიონატის გასაშუქებლად მიშკოლცში 100-ზე მეტი ჟურნალისტი, რადიო და ტელეკომენტატორი ჩამოვიდა. შეხვედრებს ბევრი სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები ადევნებენ თვალს. 11 ნოემბრამდე ჩატარდება წინასწარი შეხვედრები, 12 ნოემბერს მოეწყობა ნახევარფინალები, 14 ნოემბერს კი ცნობილი გახდება ჩემპიონთა ვინაობა.

● მარსელი, 8 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში წარმატებით აიღეს სტარტი მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელებმა, რომლებმაც აქ ანგარიშით 6:3 (0:1, 0:1, 3:1, 3:0) დაამარცხეს „სერკლ დე ნაუერი". მოსკოველებთან ერთად ამ წინასწარ ჯგუფში თამაშობენ „ოსკ ბუდაპეშტი" და ბუქარესტის „დინამო". ამ გუნდების შეხვედრა უნგრელთა გამარჯვებით აღინიშნა — 7:5 (0:0, 3:1, 2:2, 2:2). თასის დანარჩენი მაძიებლები ათენში, სოფიასა და ბელგრადში მიმდინარე წინასწარ მატჩებში იბრძვიან. ტურნირმა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა (17 გუნდი) მიიზიდა.

● სუბოტიცა, 8 ნოემბერი. მოსკოვის ქალთა ნაკრებმა, რომლის სახელსაც იცავდნენ გუნდურ შეჯიბრებებში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები ზ. რუდნოვა და ს. გრინბერგი, ყველას აჯობა იუგოსლავიის აქ გამართულ ღია ჩემპიონატში. მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებმა ფინალში დაამარცხეს რუმინელთა დუეტი — 3:1. ვაჟთა წყვილებში ჩემპიონები გახდნენ შვედები, რომლებმაც გადამწყვეტ შეხვედრაში იაპონიის გუნდს აჯობეს — 3:2. ქალთა პირად ტურნირში რუდნოვამ ვერცხლის მედალი მოიხვეჭა: ფინალში მან მარცხის სიმწარე იწვნია მსოფლიო ჩემპიონთან ტ. კოვადასთან (იაპონია) — 1:3 (16:21, 21:17, 20.22, 13:21).

● მოსკოვი, 8 ნოემბერი. შაიბიანი ჰოკეის ადგილობრივი დინამოელი ოსტატები დამაჯერებლად ლიდერობენ საკავშირო ჩემპიონატში. მორიგ მატჩში მათ ფარ-ხმალი დააყრევინეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელს, სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა-ს — 3:1. ახლა, 16 შეხვედრის შემდეგ, მოსკოვის „დინამოს" 30 ქულა აქვს. II-III ადგილებს იყოფენ ცსკა და ლენინგრადის ასკ, რომლებსაც 20-20 ქულა დაუგროვდათ 15 თამაშის შემდეგ.

● დორტმუნდი, 8 ნოემბერი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მონაწილე ხელბურთელ ვაჟთა გუნდების კენჭისყრა. მერვედფინალში მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივის მეტოქე იქნება პორტუგალიის „სპორტინგი".



კიშინიოვის შემოგარენში ჩატარდა „დუნაის თასზე" საერთაშორისო მოტოკროსის IV ეტაპი. გაიმარჯვეს მ. მოისეევმა, პ. რულიოვმა, ვ. კავინოვმა.

მოტოკროსში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და უნგრეთის გუნდები. ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა ადგილები IV ეტაპის ასპარეზობაში.

სურათზე: IV ეტაპის შეჯიბრებებში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) გ. მოისეევი, ვ. კავინოვი და პ. რულიოვი.

ე. დრაიზნერისა და ე. მეჩნიკის ტელეფოტო (საკდესი).

თბილისის სპორტის სასახლე



მოსკოვის სახელმწიფო ანსამბლი

ბალეტი ყინულზე

ახალი პროგრამა

„ყინული და ფანტაზია"

13 ნოემბრიდან

დასაწყისი 20 საათზე, კვირაობით — 12 და 20 საათზე.

მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე. განაცხადები სხვა ქალაქებიდან, რაიონებიდან და სასწავლებლებიდან დაკმაყოფილდება პირველ რიგში.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის, რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლის და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

ცნობები ტელეფონებით 36-20-54, 36-01-55.



ფეხბურთი

# მეოთხედფინალში გავიდნენ

4 ნოემბერს გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მერვედფინალური ეტაპის განმეორებითი შეხვედრები. მოგვყავს ამ მატჩების შედეგები (ფრჩხილებში აღნიშნულია ამავე გუნდების I ტურის შეხვედრათა შედეგები).

## ჩემპიონთა თასი

„სელტიკი" (შოტლანდია) — „უოტერფორდი" (ირლანდია) 3:2 (7:0), „სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია)—„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) 2:1 (0:3), „უტა" (რუმინეთი) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) 1:3 (0:3), „სპორტინგი" (პორტუგალია) — „კარლ ცაისი" (გდრ) 1:2 (1:2), „ლეგია" (პოლონეთი) — „სტანდარდი" (ბელგია) 2:0 (0:1), „ევერტონი" (ინგლისი) — „ბორუსია" (გფრ) 1:1 (1.1). ინგლისელებს წარმატება მოუტანა ფრედ დამთავრებული მეორე თამაშის შემდეგ დანიშნულმა პენალტებმა. „ბაზელი" (შვეიცარია) — „აიაქსი" (ჰოლანდია) 1:2 (0:3).

მეოთხედფინალში გავიდნენ „სელტიკი", „პანათინაიკოსი", „ცრვენა ზვეზდა", „კარლ ცაისი", „ლეგია", „ევერტონი", „აიაქსი".

## თასების მფლობელთა თასი

„სტიაუა" (რუმინეთი) — „ეინდჰოვენი" (ჰოლანდია) 0:3 (0:4), „გურნიკი" (პოლონეთი) — „გიოზთეფე" (თურქეთი) 3:0 (1:0), „ჩელსი" (ინგლისი) — ცსკა (ბულგარეთი) 1:0 (1:0), „ვაკერი" (ავსტრია) — „რეალი" (ესპანეთი) 0:2 (1:0), „ფორვერტსი" (გდრ) — „ბენფიკა" (პორტუგალია) 2:0 (0.2). „ფორვერტსს" წარმატება მოუტანა მეორე მატჩის შემდეგ დანიშნულმა პენალტების სერიამ. „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი) — „ჰონვედი" (უნგრეთი) 2:0 (1:0), „ციურიხი" (შვეიცარია) — „ბრიუგე" (ბელგია) 3:2 (0:2), „ნანტი" (საფრანგეთი) — „კარდიფ სიტი" (უელსი) 1:2 (1:5).

მეოთხედფინალში გავიდნენ „ეინდჰოვენი", „გურნიკი", „ჩელსი", „რეალი", „ფორვერტსი", „მანჩესტერ სიტი", „ბრიუგე", „კარდიფ სიტი".

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 6 უუ 04484